

საქართველოს
რესპირაციული ასოციაცია



საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის
სამინისტრო

ქრონიკული ხველის

გაიდლაინი

ავტორები: ქ.ბარაბაძე, ი.ჩხაიძე, კ.ვაჭარაძე, პ.გვეტაძე,
ექსპერტები: თ.ლობეგანიძე, ნ.ცხაკაია, დ.მაღალაშვილი

თბილისი
2006

დეფინიცია. ქრონიკულად მიჩნეულია ხველა, რომელიც გრძელდება რვა კვირა და მეტი პერიოდი. ბავშვებში ქრონიკულად მიიჩნევა ხველა, რომელიც აღინიშნება ყოველდღიურად 4 კვირაზე მეტი პერიოდის განმავლობაში.

გაიდლაინის აუცილებლობა. პაციენტთა უმრავლესობისათვის ქრონიკული ხშირ შემთხვევაში ორგანიზმის დამასუსტებელი სიმპტომია. კლინიცისტების მიერ ქრონიკული ხველა განიხილება, როგორც დაუმორჩილებელი და ძნელად სამართავი პრობლემა. წარმატებული მკურნალობის გასაღებს ქრონიკული ხველის გამომწვევი დაავადების ზუსტი დიაგნოსტირება და შესაბამისად, ხველის მიზეზის მკურნალობა წარმოადგენს. ჰეშმარიტი იდიოპათიური ხველა იშვიათია და ძირითადად შეცდომით დიაგნოსტირდება, განსაკუთრებით, იმ მიზეზის გამო, რომ დაავადების არასწორი დიაგნოზის მიზეზი ხშირად ხველის პროგნორებაა საპაერო გზების გარე გამდიზიანებლით. ამ გაიდლაინის მიზანს წარმოადგენს დაავადების დიაგნოსტირების და მკურნალობის ძირათადი მიმართულებების გამოყოფა და სამუშაო ჩარჩოს შექმნა.

პაციენტთა 90%-ზე მეტ შემთხვევაში ქრონიკული ხველის მიზეზს წარმოადგენს სამი ძირითადი ნოზოლოგია, რომელიც აღმოცენდება ანატომიურად დიფერენცირებულ სხვადასხვა რეგიონში. ასთმა, გასტროეზოფაგური რეფლუქსი და რინიტი ის სამი ძირითადი ნოზოლოგიაა, რომელიც ქრონიკული ხველის ძირითად მიზეზს წარმოადგენს. ქრონიკული ხველით პაციენტებში ხშირად არ ხდება დაავადების გამომწვევი მიზეზის სრული შეფასება. პრობლემის სირთულეს განაპირობებს ასევე ქრონიკული ხველის ატიპურობა. ასე, მაგ: პაციენტებში ქრონიკული ხველით - პრედომინანატური ასთმით შეიძლება არ გამოვლინდეს ბრონქოკონსტრიქცია და პაციენტებში რეფლუქს-ასოცირებული ხველით შეიძლება არ გამოვლინდეს გასტროეზოფაგური რეფლუქსის (GOR) დამახასიათებელი ისეთი სიმპტომიც კი, როგორიცაა გულმარვა.

ეპიდემიოლოგია

ქრონიკული ხველა მოზრდილებში

მწვავე ხველა ექიმთან კონსულტაციის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს. ქრონიკულად ითვლება ხველა რვა კვირაზე მეტი ხანგრძლივობით. ეჭვგარეშეა, რომ პოპულაციის 3–40%-ში ქრონიკული ხველა ავადობის ძირითადი მიზეზია. ევროპის რესპირაციული საზოგადოების მხარდაჭერით და მეთვალყურეობით 20-48 წლის ასაკის 18,277 სუბიექტის

კვლევით, მსოფლიოს 16 ქვეყნიდან 30%-ში დადგინდა ლამის ხელა, მათ შორის პროცენტიული ხელა 10%, არაპროცენტიული ხელა 10%-ში.

სიგარეტის მოწევას პროცენტიული ხელის პრევალირებაზე დოზა-დამოკიდებული გავლენა ახასიათებს. მიუხედავად ამისა, მწეველები ძალზედ იშვიათად ეძებენ ან ითხოვენ ხელისათვის სამედიცინო პერსონალის სპეციფიურ რჩევას. ძირითადად, ხელის მიზეზით ექიმს ქალები მიმართავენ. გაღიზიანებაზე ხელითი პასუხით ქალები მაღალ შინაგან მგრძნობელობას ავლენენ. ქალებში ასევე მაღალი სიხშირით აღინიშნება ანტიტენზინ-მაკონვერტირებული ენზიმის (ACE) ინჰიბიტორით გამოწვეული ხელა. სქესის ასეთი კავშირი ხელასთან უცნობია.

ქრონიკული ხელა ბავშვებში

მორეციდივე ხელა ბავშვთა ასაკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმპტომია. ხელა უმეტესად ვირუსულ ინფექციასთან არის დაკავშირებული. სადიფერენციაციო დაავადებების რიცხვი საქმაოდ დიდია. რა სიხშირით ახველებს ჯანმრთელი ბავშვი? სკოლამდელი და ადრეული სკოლის ასაკის ბავშვთა $\leq 10\%$ -ს აღენიშნება პერსისტირებადი ხელა, რომელიც არაა დაკავშირებული არც გაციებასთან, არც სუნთქვის გამნელებასთან. ხელა სუნთქვის გამნელების გარეშე ხშირად ასოცირდება გარემო ფაქტორებთან, კერძოდ, სინესტეთან და გარემოს დაბინძურებასთან, ასევე სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობასთან. მშობლის მიერ სიგარეტის მოწევა მწვავე ხელის ქრონიკულში ტრანსფორმირების ერთ-ერთი კარდინალური მიზეზია. ქრონიკული ხელა აღენიშნება <11 წლამდე ასაკის იმ ბავშვთა 50% -ს, რომელთა მშობლებიც (ორივე) ეწევიან სიგარეტს. ჯანმრთელ ბავშვს (საშუალო ასაკი 10 წელი) 24 სთ-ის მანძილზე შეიძლება აღენიშნოს ხელის ≈ 10 ეპიზოდი, ძირითადად დღის განმავლობაში. ეს რიცხვი შესაძლოა გაიზარდოს რესპირაციული ინფექციის ფონზე, რომელიც ჯანმრთელ ბავშვებში შეიძლება აღინიშნოს წლიწლადში $5-8\text{-ჯერ}$ $7-9$ დღის ხანგრძლივობით. ეს შეიძლება იყოს ხელის დამატებითი მიზეზი კიდევ 50 დღის მანძილზე წლის განმავლობაში. ადრეული ასაკის ბავშვებს შესაძლოა აღენიშნოთ უფრო ხშირი ინფექციები და, შესაბამისად, უფრო ხშირი ხელაც. წინა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა 22% -ს აღენიშნება ქრონიკული ხელა, გაციების კლინიკური ნიშნების გარეშე. ბავშვები ხელით არ წარმოადგენენ ასთმისა და ატოპის განვითარების მხრივ უფრო მაღალ რისკს, ვიდრე ისინი, ვისაც არა აქვთ ხელა და გააჩნიათ ფილტვის ანალოგიური ფუნქცია და

სასუნთქი გზების მგრძნობელობა. ეს ნიშნავს, რომ ბავშვებს, რომელთაც ახველებთ, აღენიშნებათ სასუნთქი გზების ისეთივე მგრძნობელობა, როგორც საკონტროლო ჯგუფის ბავშვებს, თუმცა ხველის ეპიზოდების პერიოდში მათ შესაძლოა სასუნთქი გზების დროებითი პიპერეაქტულობა პქონდეთ გამოხატული.


ბავშვებში ხველა კლასიფიცირდება:

ს პ ე ც ი ფ ი კ უ რ ი

ეტიოლოგიური
აგენტი ცნობილია

ა რ ა ს პ ე ც ი ფ ი კ უ რ ი

ავადობაზე დამოკიდებული
ხველა (მაგ., ვირუსის შემდგომი
ხველა, განპირობებული ხველის
რეცეპტორების მომატებული
მგრძნობიარობით).



ხველის უხშირესი მიზეზები ასაკის მიხედვით

0-დან 18 თვემდე: თანდაყოლილი პათოლოგია, ხველის ასთმის ვარიანტი (ასთმური ხველა), არტერიის თანდაყოლილი ანომალია.

18 თვის ასაკიდან 6 წლამდე: ხველის ასთმის ვარიანტი და სინუსიტი.

6-დან 18-წლამდე: ხველის ასთმის ვარიანტი და ფსიქოგენური ხველა.

სპეციფიკური ხველის “მიმანიშებლები”

- აუსკულტაციური მონაცემები;
- ხველა, რომელიც ხასიათდება სუნთქვის უგმარისობით-მოხრჩობის შეგრძნებით;

- ხველა დაბადებიდან;
- კარდიალური პათოლოგია;
- გულმკერდის ტკივილი;
- გულმკერდის კედლის დეფორმაცია;
- ქრონიკული დისპენსაცია;
- პროდუქტიული ხველა დღის მანძილზე;
- განვითარების დარღვევა;
- ხველა სისხლიანი ნახველით;
- იმუნური დეფიციტი;
- ნერვული განვითარების დარღვევა;
- თანმხლები პნევმონია.

კლინიკური ანამნეზი

დაწვრილებით კლინიკური ანამნეზი მნიშვნელოვანი სადიაგნოსტიკო “გასაღების” გამოვლენის საშუალებას იძლევა, რომლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება თერაპიული ჩარევა შემდგომი ლაბარატორიული კვლევის გარეშე. ხველის სიხშირე კორელაციაშია სიგარეტის მოწევასთან. სიგარეტის მოწევის ანამნეზი და მისი რაოდენობა საჭიროებს ნახველის დეტალურ ანალიზს. ქრონიკული ხველა, შეიძლება ითქვას, არის ე.წ. “დოზა-დამოკიდებული” სიგარეტის წევაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქრონიკული ბრონქიტის ფონზე განვითარებული ნახველი შესაძლოა იყოს ლორწოვანი ან ლორწოვან-ჩირქოვანი. სიგარეტის მოწევის ფონზე განვითარებული ხველა, ასევე შესაძლოა იყოს მშრალი, ირიტაციული ეფექტის შედეგად. დღის მანძილზე დიდი რაოდენობის ნახველის პროდუქცია (ერთ ჭიქაზე მეტი) ეჭვს ბადებს ბრონქოექტაზიის არსებობაზე. ბრონქოექტაზიის დროს ნახველი ძირითადად ჩირქოვანია და მისი გამოყოფა დაკავშირებულია პოზის ცვლილებასთან. ქრონიკული ხველის გამომწვევი ეტიოლოგიური ფაქტორის გამოვლენა სწორი მკურნალობის საწინდარია.

ACE-ინჰიბიტორთან დაკავშირებული მშრალი ხველა გვაფიქრებინებს, რომ პაციენტთა 15%-ში ACE-ინჰიბიტორის მკურნალობის დაწყებისთანავე სწრაფად ვითარდება ხველა, რომელიც სუსტდება და წყდება მკურნალობის შეწყვეტისთანავე. ზედა სასუნთქი გზების ინფექციას თან ახლავს ხველა, რომელიც, ჩვეულებრივ, სწრაფად უკუვითარდება ინფექციის ჩათავების შემდეგ. მიუხედავდ ამისა, ჯანმრთელ ინდივიდებში რესპირაციული ინფექციის ჩათავების შემდეგ შესაძლოა პერსისტირებდეს მშრალი ხველა.

რიგი კვლევებში ნაჩვენებია, რომ არამწეველებში, რომლებიც არ დებულობენ ACE-ინპიბიტორებს, (გულმკერდის ნორმალური რადიოგრაფიით) ქრონიკული ხველა ჩვეულებრივ ასთმის, რინოსინუსიტის ან გასტროეზოფაგური რეფლუქსის შედეგია. შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ორ ან რამდენიმე პათოლოგიას. ძირითადი დაავადების დამახასიათებელი სიმპტომები შესაძლოა არ არსებობდეს და ანამნეზიც გაურკვეველი იყოს დიაგნოზის მინიშნების თვალთახედვით. ქრონიკული მშრალი ხველით პაციენტებში პათოლოგიური ფიზიკალური მონაცემები იშვიათია.

გაძნელებული სუნთქვა, გულმკერდის შებოჭილობა და დისპნეა, ხველის პაროქსიზმი ასთმის არსებობაზე მიუთითებს, თუმცა შესაძლოა ასთმის ხველით მიმდინარე ვარიანტი (CVA) სრული სახით არ იყოს წარმოდგენილი. დამის გამწვავებები ასთმის სავარაუდო ნიშანია. ხველა ასევე შესაძლოა იყოს განპირობებული ცივი ჰაერით ან ფიზიკური დატვირთვით. დაავადება შესაძლოა მიმდინარეობდეს ხველის არაასთმური ვარიანტით. ხმაურიანი სუნთქვა პაციენტებში შესაძლოა მოისმინებოდეს ვარჯიშის დროს. თუ ხველა კავშირშია ცხვირის ობსტრუქციასთან, რინორეასთან, ჩირქოვან გამონადენთან, სახის ტკივილთან ან განმეორებით “ყელის ჩაწმენდასთან”, მაშინ ხველის სავარაუდო მიზეზია რინოსინუსიტი. დადასტურებულია კავშირი პოსტნაზალურ წვეთსა და ხველას შორის. სახის გამოკვლევით ვლინდება ერითემა. უკანა ფარინგეალური ლორწო, ლორწოვანი ან ჩირქოვანი ჩამონადენი დამახასიათებელია როგორც პოსტნაზალური წვეთისთვის, ისე რეფლუქსისთვის. რეფლუქსი, ჩვეულებრივ, ქვედა ეზოფაგალური სფინქტერის გარდამავალი რელაქსაციის შედეგია. ხველა შესაძლოა განვითარდეს კვების პერიოდში ან კვების შემდეგ, ან გულაღმა მწოლიარე წელში მოხრილ მდგომარეობაში. ხველა ჩვეულებრივ მცირდება ძილის პერიოდში, როდესაც ქვედა ეზოფაგალური სფინქტერი იხურება და როდესაც პაციენტი ბრუნდება ვერტიკალურ მდგომარეობაში. სიცილმა და საუბარმა ასევე შესაძლოა გამოიწვიოს რეფლუქს-ასოცირებული ხველა.

ასთმის ან რინოსინუსიტის მქონე პაციენტთა მხოლოდ ნახევარი მიმართავს სპეციალისტს. მიუხედავად იმისა, რომ ხველა შესაძლოა იყოს ამ პათოლოგიათა ერთადერთი კლინიკური ნიშანი, ამან ხელი არ უნდა შეუშალოს ექიმს დაწვრილებით შეკრებოს ანამნეზი.

დიაგნოსტიკა

ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები წარმოადგენს AMERICAN COLLEGE OF CHEST PHYSICIANS-ის მიერ მოწოდებული კონსესუსის ფართო ვარიანტს. დიაგნოზი შესაძლოა ეფუძნებოდეს იმ ლაბორატორიულ კვლევებს და ტესტებს, რომლებიც შესაძლოა განხორციელდეს როგორც პოსპიტალურ, ისე ამბულატორიულ პირობებში ზოგადი პრაქტიკის ექიმის მიერ. გულმკერდის RO-გრაფია დიაგნოსტირების ადრეულ საფეხურზე სავალდებულოა, ვინაიდან ამ კვლევით დაფიქსირებულმა მნიშვნელოვანმა პათოლოგიამ შესაძლოა შეცვალოს დიაგნოსტიკური ალგორითმი და თავიდან აგვაცილოს არასაჭირო გამოკვლევა. სპირომეტრიამ, ბრონქოდილატატორით ინჰალაციამდე და ინჰალაციის შემდეგ, შესაძლოა გამოავლინოს საჰაერო გზების რეაქტიულობის მნიშვნელოვანი შექცევადობა, რაც დაადასტურებს ასთმის დიაგნოზს. თუ სპირომეტრიის ჩატარება შეუძლებელია ან მისი შედეგი არის ნორმის ფარგლებში და ასთმის დიაგნოზის ალბათობა გამომდინარეობს მხოლოდ ანამნეზიდან, მაშინ მოწოდებულია სახლის პირობებში ექსპირატორული ნაკადის სერიული გაზომვა (პიკ-ფლოუ მეტრია). აღნიშნულის ფონზე შესაძლოა გამოვლინდეს მნიშვნელოვანი ყოველდღიური ცვლილებები.

CVA-ს დროს ადნიშნული კვლევის შედეგები შესაძლოა იყოს ნორმაში. მაშინ განხილული უნდა იყოს ბრონქოპროგრაციული ტესტის ჩატარება. მისი ნეგატიურობა საიმედოდ გამორიცხავს ასთმას, თუმცა არ გამორიცხავს სტერეოდ-მგრძნობიარე ხელის.

სინუსების რადიოგრაფია დამოუკიდებლად დაბალ-სპეციფიურია, მაგრამ სპეციფიურობა მატულობს და სარწმუნო ხდება ანამნეზური და ყელ-ყურცხირის ინსპექციის მონაცემებთან კომბინაციაში. კომპიუტერულ გრამოგრაფიას სინუსის კვლევისას აქვს უფრო მაღალი სპეციფიურობა, ვიდრე რადიოგრაფიას, რომელიც ქრონიკული ხელის რუტინული შეფასების მცირე დანამატს წარმოადგენს.

თუ GOR სიმპტომები ნათლად ჩანს ანამნეზში, მაშინ ემპირიული ანტი-რეფლუქსური რეჟიმის შექმნა წინ უნდა უძლოდეს ზედა გასტროინტესტინური ტრაქტის კვლევას.

ქრონიკული ხელის რუტინულ შეფასებაში ფიბრო-ბრონქოსკოპიის დიაგნოსტიკური ”ნაყოფიერება-შედეგი” დაბალია: $\approx 5\%$. მიუხედავად ამისა, იმ პაციენტებში, რომლებშიც ქრონიკული ხელის გამომწვევი ძირითადი

ნოზოლოგიები გამორიცხულია, იგი მნიშვნელოვან სადიაგნოსტიკო პოტენციალს წარმოადგენს. უცხო სხეულის ასპირაცია ძირითადად ბავშვთა ასაკში გვხვდება, მაგრამ შესაძლოა აღინიშნოს მოზრდილებაც. ზოგიერთ შემთხვევაში სასუნთქი გზების მდგომარეობის შეფასებამ და უცხო სხეულის ექსტრაქციამ შესაძლოა ბრონქოსკოპიური კვლევა მოითხოვოს. ბრონქოსკოპია ასევე უზრუნველყოფს ნიმუშის აღების შესაძლებლობას (ლორწოვანის ან ბრონქული ლავაჟის ბიოფსია).

დამატებითი კომპიუტერული ტომოგრაფია გულმკერდის საფუძვლიანი გამოკვლევის მიზნით არ მიიჩნევა აუცილებელ კვლევად მაღალი ღირებულების გამო. კომპიუტერული ტომოგრაფიით შეიძლება დაისვას ფილტვის პარენქიმული დაავადების ან ბრონქოექტაზიის დიაგნოზი, რომელთა არსებობაც ვერ იქნა იდენტიფიცირებული გულმკერდის რენტგენოგრაფიით.

ასთმური ხველა და ეოზინოფილური ბრონქიტი

არამწეველი მოზარდების 24-19%-ში მრავალი პროსპექტული კვლევა ადასტურებს ასთმის ძირითად მიზეზობრივ როლს ქრონიკული ხველის პათოგენეზში. ჩვეულებრივ, ხველა ასოცირებულია დისპნოეს და სუნთქვის გაძნელების ტიპურ სიმპტომთან. მიუხედავად ამისა, ასთმით ავადმყოფების ქვეჯაზე ხველა პრედომინანტური ან ერთადერთი ჩივილია. ეს მდგომარეობა აღინიშნება, როგორც CVA: ასთმის ხველის ვარიანტი.

პაციენტები CVA-თი დაავადების ადრეულ პერიოდში, ხშირად ავლენენ დიაგნოზის დამადასტურებელ სიმპტომს, როდესაც ფიზიკალური კვლევისა და ფილტვის ფუნქციის შესწავლის მაჩვენებლები მთლიანად ნორმის ფარგლებშია. ზოგ შემთხვევაში განიხილება ბრონქული პროვოკირების ტესტის ჩატარების აუცილებლობა. მეტაქოლინის ინჰალაციით (MIC) დემონსტრირებული ბრონქული ჰიპერრეაქტიულობა (BHR) ასთმის ხველის ვარიანტის დიაგნოსცირების ოქროს სტანდარტად მიიჩნევა. კლინიკისტებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ MIC მოიცავს, ეთავსება არსებულ დიაგნოზს, მაგრამ საბოლოოდ არ განსაზღვრავს მას. დიაგნოზის საბოლოო ჩამოყალიბება არ იქნება მართებული, სანამ ანტიასთმური თერაპიის ფონზე არ მოხდება ხველის სრული ალაგება.

ძირითადად, CVA-ს მკურნალობა “კლასიკური” ასთმის მკურნალობის ანალოგიურია. ხველა, როგორც CVA-ს შედეგი, ჩვეულებრივ უკუგანვითარებას განიცდის ბრონქოდილატატორით ინჰალაციის დაწყებიდან ერთი კვირის განმავლობაში. მიუხედავად აღნიშნულისა, ხველის სრული

ალაგება ზოგ შემთხვევაში შესაძლოა მოხდეს ≤8 კვირაში ბრონქოდილატატორისა და კორტიკოსტეროიდების კომბინირებული ოერაპიის ფონზე. მშრალი ფხვნილით ინჰალირება ან დოზირებული სპეისერით ინჰალაცია რეკომენდებულია სტეროიდის ინჰალაციური გზით მიღებისას. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ პაციენტში სტეროიდით ინგალაციისას ხველის გამწვავება აღინიშნება, რაც აეროზოლის მოქმედების შედეგი. მაგ., ხშირ შემთხვევაში, ბეკლომეტაზონ დიპროპრიონატით ინგალაციის შედეგად განვითარებული ხველა დაკავშირებულია ტრიამცინოლონ აცეტონიდთან, რომელიც დისპერტანტთან თანმხლებ კომპონენტს წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში სადიაგნოსტიკო თერაპიულ მცდელობად შესაძლოა გამოყენებული იყოს მხოლოდ სტეროიდით ინგალაცია (40გ პრედნიზოლონი).

მიმდინარე კვლევები მხარს უჭერენ მოსაზრებას, რომ ლეიკოტრიენების რეცეპტორების ანტაგონისტები, როგორც ასთმის მკურნალობის უახლესი თერაპიული საშუალებები, შესაძლოა განსაკუთრებით ეფექტური იყოს CVA-ს მკურნალობისთვის. ზაფირლუკასტით 14 დღიანი მკურნალობა მნიშვნელოვნად ამცირებს ხველას, ასევე ამცირებს ხველის რეფლექსის მგრძნობელობას CVA-ს მქონე პაციენტებში, ასევე პაციენტთა იმ ქვეჯგუფშიც, სადაც ხველა არ იქნა მოხსნილი სტეროიდებით ინგალაციის შემდეგ.

ეოზინოფილური ბრონქიტი (EB) ამჟამად მთლიანადაა შეცნობილი. ის ვლინდება ქრონიკული ხველით და ნახველში ეოზინოფილით ($>3\%$). ამ ტიპის ხველა ჩვეულებრივ კორტიკოსტეროიდებით ინგალაციაზე დადებით პასუხს იძლევა. მიუხედავად ამისა, პაციენტთა უმრავლესობაში ამ ხველის გამომწვევი მიზეზი არასწორად შეიცნობა და შეცდომით ისმება CVA-ს დიაგნოზი. პაციენტები ეოზინოფილური ბრონქიტით კლასიკური ასთმატიკებისაგან განსხვავებით არ ავლენენ ჰაერის ნაკადის შექცევად ობსტრუქციას ან ბრონქების ჰიპერმდნობელობას მეტაქოლინზე. პროსპექტული კვლევით დადგინდა, რომ ქრონიკული ხველით პაციენტთა 13%-ს, რომლებმაც მიმართეს სპეციალისტებს, დაუდასტურდათ EB-ს დიაგნოზი. ასთმური ხველისთვის რეკომენდებული თერაპია გულისხმობს ბრონქოდილატატორის და კორტიკოსტეროიდების ინგალაციას, ლეიკოტრიენების რეცეპტორების ანტაგონისტების და ორალური კორტიკოსტეროიდების გამოყენებას.

ხველა და გასტრო-ეზოფაგური რეფლუქსი

მრავალი კვლევა განიხილავს GOR-ს, როგორც ქრ. ხველის ერთ-ერთ ყველაზე უმნიშვნელოვანეს მიზეზს. ვაგუსით ინერვირებული ეზოფაგური რეფლუქსირების სტიმულაცია, პერისტალტიკის დარღვევა და/ან რეფლუქსირებადი კუჭის შიგთავსის ასპირაცია მიჩნეულია GOR-თან დაკავშირებული ხველის პირდაპირ მიზეზად. ხველა შესაძლოა იყოს GOR-ის ერთადერთი სიმპტომი მანამ, სანამ ანამნეზის საფუძველზე მოხდება GOR-ის ისეთი კლასიკური სიმპტომის გამოვლენა, როგორიცაა გულძმარვა. GOR ყოველთვის ასოცირებულია ქვედა ეზოფაგალური სფინქტერის გარდამავალ რელაქსაციასთან. ქვედა ეზოფაგალური სფინქტერის ფიზიოლოგიის ზუსტი გაგება და შესწავლა უზრუნველყოფს სწორ დიაგნოსტიკურ ხედვას. ზოგიერთი მძიმე დაავადებების გამოკლებით, ქვედა ეზოფაგური სფინქტერი იხურება ძილის პერიდში, რის გამოც ხველა იშვიათად არის შემაწუხებელი დამით, მაგრამ კვლავ დებულობს შემაწუხებელ ხასიათს, როდესაც პაციენტი დგება ფეხზე. დიაფრაგმის რელაქსაცია პაციენტის საუბრის პერიოდში ამცირებს ქვედა ეზოფაგური სფინქტერის ტონუსს. კვება ქვედა ეზოფაგური სფინქტერის რელაქსაციის მიზეზია ფარინგეალურ-ეზოფაგური რეფლუქსის საშუალებით. რეფლუქსი აღწევს ზედა სასუნთქ გზებს და იწვევს სიმპტომთა ფართო დიაპაზონს: დისპნოეს, ყელის ტკიფილს, “ყელში ბურთის შეგრძნების” ჩათვლით.

GOR-ით გამოწვეული ხველის დიაგნოსტირებისათვის საუკეთესო ტესტს წარმოადგენს 24 სთ-იანი ეზოფაგალური pH მონიტორინგი (OpHM), თუმცა მისი განხორცილება ჩვენს პირობებში თითქმის შეუძლებელია. OpHM-ით განსაზღვრული რეფლუქსის პათოლოგიური ინდექსი შეიძლება გამოყენებული იყოს GOR დაკავშირებული ხველის დიაგნოსტირებისთვის. პროსპექტული კვლევები აჩვენებენ, რომ OpHM-ით მიიღება რეფლუქსის ინდექსის დადებითი და უარყოფითი მოცულობა, შესაბამისად 89 და 100%. საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამს Quers et al. მათი მონაცემებით ქრ. ხველის და პათოლოგიური pH პროფილის მქონე პაციენტთა მხოლოდ 35% პასუხობს პროტონული ტუმბოს ინჰიბიტორით თერაპიას, ასე რომ OpHM არ არის სარწმუნო მაჩვენებელი მუსა-დამოკიდებული ხველის შემთხვევაში. როდესაც OpHM-ის ჩატარება შეუძლებელია ან მიღებული შედეგები არის ურთიერთგამომრიცხავი, ჩატარებული ანტი-რეფლუქსური ემპირიული მკურნალობა შესაძლოა სასარგებლო იყოს მქონე იმ პაციენტებში, სადაც ქრონიკული ხველის წყაროდ ეჭვობენ გასტრო-ეზოფაგურ რეფლუქსს. რიგ შემთხვევებში

ეფექტურია არაფარმაკოლოგიური ჩარევაც, როგორიცაა ძილი თავის შემაღლებულ პოზიციაში, თამბაქოზე უარის თქმა, წონის შემცირება, დიეტა ცილის მაღალი და ცხიმის დაბალი შემცველობით, და იმ საკვების და სასმელის მიღება, რომელიც ხელს უწყობს ქვედა ეზოფაგური სფინქტერის რელაქსაციას: ალკოჰოლი, შოკოლადი, პიტნა, ხახვი, ჩაი, ყავა, კოლა, ციტრუსები. ამ არაფარმაკოლოგიური მეთოდების ასოციაცია H_2 ანტაგონისტებთან და/ან პროკინეტიკური აგენტებთან ≈ 3 თვის მანძილზე პაციენტთა 70-100%-ში ხსნის GOR ინდუცირებული ხველას. პროტონული ტუმბოს ინკიბიტორების მიღება 8 კვირის მანძილზე იწვევს ხანგრძლივად პერსისტირებადი GOR ინდუცირებული ხველის მნიშვნელოვან შემცირებას და ზრდის ხველის ზღურბლს ეზოფაგური რეფლუქსის მქონე პაციენტებში. პროტონული ტუმბოს ინკიბიტორების უეფექტობა შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ ადექატური დოზით ხანგრძლივი, ≥ 12 კვირიანი მკურნალობის შემდეგ. პროკინეტიკური აგენტების ეფექტი ვლინდება ქვედა ეზოფაგური სფინქტერის ტონუსის გაზრდით და კუჭის დაცარიელების გაადვილებით. ისინი ჩვეულებრივ გამოიყენება H_2 ანტაგონისტებთან და ტუმბოს ინკიბიტორებთან ასოციაციაში ან მონოთერაპიის სახით (ბაგშვებში).

რინიტი და სინუსიტი

ქრონიკული ხველის მნიშვნელოვანი მიზეზი პოსტ-ნაზალური წვეთი, GOR და ყურის პრობლემებია. დიაგნოსცირება განსაკუთრებულად რთულია, ვინაიდან ქრონიკული ხველა მულტიფაქტორული დაავადებაა და თანმხლები ცალკეული კომპონენტის დიფერენცირება სირთულეს წარმოადგენს. მაგ. ასთმით დაავადებულ პაციენტთა დიდ ნაწილს აღენიშნებათ რინიტი, ხშირია პოსტ-ნაზალური წვეთიც. პოსტ-ნაზალური წვეთის კავშირი ქრონიკულ ხველასთან სადიაგნოსტიკოდ რთულია. ზოგიერთი მკვლევარი მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ ნაზალური ან სინუსიდან სეკრეტირებული წვეთი ხახასა და ხორხში ხველის ადგილობრივი რეცეპტორების სტიმულაციას იწვევს. ლორწოს გადასვლა ცხვირიდან და სინუსებიდან ხახაში ფიზიოლოგიური პროცესია, რომელიც გარკვეული ინდივიდუალობით ხასიათდება. პაციენტებს რინოსინუსიტით ან რომელთაც ჩატარებული აქვთ სინუსის ქირურგიული მკურნალობა ხახის არეში, აღენიშნებათ როგორც ფიზიოლოგიური, ისე ანთებითი ლორწოს დიდი რაოდენობა. ქრონიკული სინუსიტის ან პოლიპი დროს პოსტ-ნაზალური წვეთი ვლინდება 60%-ში, ხოლო ქრონიკული ხველა 74 %-ში. არაასომატურ პაციენტებში აღნიშნული მაჩვენებელი შესაბამისად

არის 51% და 65%. ასე რომ, ქრონიკული რინოსინუსიტი პოსტ-ნაზალური წვეთით ან მის გარეშე შეიძლება იყოს ქრონიკული ხველის მიზეზი და ქვედა სასუნთქი გზების დაავადებების მაჩვენებელი.

ვინაიდან პოსტ-ნაზალური წვეთი არა დაავადება, არამედ სიმპტომია, იგი საჭიროებს დიფერენციალურ დიაგნოსტიკას ალერგიული რინიტის, ვაზომოტორული რინიტის, ვირუსული და ბაქტერიული ინფექციის და ნაზალური პოლიპის ჩათვლით. თუ საეჭვოა ყელ-ყურ ცხვირის პათოლოგია, საჭიროა ჩატარდეს გამოკვლევა ნაზალური ენდოსკოპიის ჩათვლით. თუ ეს სინდრომის პრედომინანტული ასპექტია, ნაზალური ლავაჟი მარილწყლის სენარიო შესაძლოა დამხმარე საშუალებას წარმოადგენდეს. მარილსენარი შესაძლოა იყოს შეყვანილი გრძელი (20მლ) შპრიცით ან ნაზალური შხაპით. ნაზალური ანთებას შესაძლოა ვუმკურნალოთ ტოპიური კორტიკოსტეროიდებით. ამასთან, ქრ. ხველის დროს განიხილება პირველი გენერაციის ანტიპისტამინების გამოყენება, ხშირად სიმპატომიმეტიკურ “დეკონგესტანტებთან” ერთად. ანტიპისტამინები გავლენას არ ახდენს ნაზალურ შეგუბებაზე (ცხვირის გაჭედვაზე). ალერგიული რინიტით ავადმყოფ ბავშვებში ქრონიკული ხველა შესაძლოა პრედომინანტური სიმპტომი იყოს, რაც მოითხოვს ზედა სასუნთქი გზების დაავადებების მკურნალობას. ასეთ ბავშვებში ინჰალაციური სტეროიდები არ იძლევიან დადებით ეფექტს.

ყურიდან წამოჭრილი პრობლემები

ვაგალური ნერვის (არნოლდის ნერვი) აურიკულარული ტოტის გადიზიანება ხველის სტიმულაციას იწვევს. ეს რეფლექსი პაციენტთა 2,3%-ში ვლინდება. გოგირდმა, უცხო სხეულმა, ყურის ინექცირებამ შესაძლოა რეფლექსის სტიმულირება გამოიწვიოს. შედარებით იშვიათად ხველის მიზეზი შესაძლოა იყოს შუა ყურის პათოლოგია.

სასმენი მილის გაღიზიანება შეიძლება ადგილად დადგინდეს ოტოსკოპიური კვლევით. სასმენი მილიდან აღგზნების გამომწვევი ფაქტორის მოცილება სიმპტომთა შემცირებას იწვევს რამდენიმე დღეში.

ქრონიკული ხველა ბავშვებში

პედიატრიული ასაკისათვის დამახასიათებელი პათოლოგიის გამომწვევი ძირითადი მიზეზის ამოცნობა ძალზე მნიშვნელოვანია. ქრონიკული პროდუქტიული ხველა ჩირქოვანი ნახველით არ უკავშირდება ასთმას. პედიატრიული ასაკისათვის მეტად თუ ნაკლებად სპეციფიურ დიაგნოზებს წარმოადგენს კისტოფიბროზი, უცხო სხეულის ასპირაცია, თანდაყოლილი

ანატომიური ანომალია, პირველადი ცილიარული დისკინეზია. აღნიშნულზე ხშირად შესაძლოა ეჭვი იქნეს მიტანილი ანამნეზის დაწვრილებითი შეკრების და კლინიკური გასინჯვის საფუძველზე.

ასთმა

სიცოცხლის პირველ წლებში ასთმის არსებობაზე ეჭვის მიტანა შესაძლებელია, როდესაც ქრონიკული ხველა ასოცირდება ატოპურ ეგზემასთან და ასთმასა და ალერგიაზე ოჯახის ანამნეზთან. ამასთან, ადრეული ასაკის ბავშვებში ანთების “ასთმური” ტიპი დამახასიათებელი ერთინოფილური ინფილტრაციით და ქრონიკული ხველით იშვიათად ვლინდება. სკოლის ასაკის ბავშვთა ხველის სიხშირის შედარებამ ორ ჯგუფს – ასთმატიკებსა და ჯანმრთელ ბავშვებს შორის შეტევებს შორის განსხვავება არ აჩვენა, თუმცა ბრონქოკონსტრიქციის დროს ასთმატიკებში გაცილებით მძიმე ხველა აღინიშნება. სკოლის ასაკის ბავშვებში დამის ხველა მსტვინავი სუნთქვის (wheezing) დროს არ უკავშირდება ფილტვის ფუნქციის გაუარესებას და ჰიპერმდრობელობას. სკოლამდელი ასაკის ბავშვებში ქრონიკული ხველა, მსტვინავი სუნთქვით მიმდინარე ხველასთან შედარებით, კეთილსაიმედო პროგნოზით ხასიათდება და უმრავლეს შემთხვევებში ქრება 6 წლამდე ასაკში.

რეფლუქსი და ასპირაცია

გუჭის შიგთავსის ასპირაციით ან მის გარეშე მიმდინარე რეფლუქსი პედიატრიული ასაკის მნიშვნელოვან პათოლოგიათა, კერძოდ, ხველითა და მსტვინავი სუნთქვით მიმდინარე ქრონიკული რესპირაციული სინდრომის უმთავრესი მიზეზია. GOR-ის ზოგიერთი სტადია ახალშობილობის პერიოდისათვისაა დამახასიათებელი და ასაკის მატებასთან ერთად სპონტანურად უმჯობესდება. აშკარაა, რომ ეს “ნორმალური” რეფლუქსი ხშირად არ არის ასოცირებული ხველასთან.

ინფექცია

ქრ. ხველის მქონე ადრეული ასაკის ბავშვთა ჯგუფში ბრონქოალვეოლური ლავაჟის (BAL) მონაცემები ინფექციური გენეზის მაღალ პროცენტს ავლენს. ქრონიკული ხველის მიზეზს მრავალი ინფექცია წარმოადგენს, მათ შორის ყივანახველა, ტუბერკულოზი, მორეციდივე ვირუსული ინფექცია და ყელ-ყურ-ცხვირის ქრონიკული ინფექცია. ახალშობილებში ქრონიკული ხველის მიზეზს შესაძლოა ასევე წარმოადგენდეს ქლამიდია, ციტომეგალოვირუსი, *Ureaplasma urealitica*.

ყივანახველას შემთხვევაში ხველა რამდენიმე თვის მანძილზე გრძელდება და არ ემორჩილდება მკურნალობას. ეპიდემის პროცესში დაავადება შესაძლოა აღინიშნოს ყივანახველა-ვაქცინირებულ ბავშვებშიც. ქრონიკული ხველის მიზეზს შესაძლოა წარმოადგენდეს ტუბერკულოზი ლიმფური ჯირკვლების გადიდების ან პერფორაციის გამო სასუნთქი გზების ობსტრუქციის ან ფილტვის სეგმენტის მეორადი დაინფიცირების შედეგად.

იმუნოდეფიციტი

თუ სასუნთქი გზების ინფექცია უჩვეულოდ, არაბუნებრივად ხშირი და მძიმეა, მაშინ განხილული უნდა იქნეს სხვა დაავადებების არსებობა პირველადი იმუნოდეფიციტის მსუბუქი ვარიანტის ჩათვლით. თუ სასუნთქი გზების ქრონიკული ინფექცია ასოცირებულია ზრდაში ჩამორჩენასა და მალაბსორბციასთან, ოფლის ტესტის საშუალებით უნდა მოხდეს კისტოფიბროზის გამორიცხვა.

პირველადი ცილიარული დისკინეზია (PCD)

PCD განაპირობებს ყელ-ყურ-ცხვირის და ქვედა სასუნთქი გზების მძიმე ინფექციის კომბინაციას. Situs inversus აღინიშნება $\approx 50\%-ში$ და შესაძლოა დადგინდეს პრენატალურ პერიოდში რუტინული ექოგრაფიით.

თანდაყოლილი ანომალია

ტრაქეობრონქომალაცია შესაძლოა არსებობდეს როგორც იზოლირებული ანომალია ან როგორც სინდრომის ნაწილი. იგი დამახასიათებელი ”უხეში” ხველის მიზეზია. ტრაქეო-ეზოფაგური ფისტულის ან ლარინგეალური ნაპრალის არსებობა იწვევს ხველას კვების დროს განვითარებული ასპირაციის შედეგად. არსებობს სასუნთქი გზების კომპრესიის ან სტენოზის გამომწვევი მრავალი მიზეზი. მაგ. სისხლძარღვოვანმა რგოლმა და სხვა გასკულარულმა მალფორმაციამ შესაძლოა ქრონიკული რესპირაციული სიმპტომი გამოიწვიოს. სასუნთქ გზებშის ინფექციით ხშირი ავადობა შესაძლოა როგორც ფილტვის მზარდი პერფუზიის, ისე ატრიალური ან პარკუჭთა ძგიდის დეფექტის ან დია ბოტალის სადინარის შედეგი იყოს.

უცხო სხეულის ასპირაცია

ასპირირებული უცხო სხეულის ამოცნობა შესაძლოა ხანგრძლივი დროის მანძილზე ვერ მოხდეს. უცხო სხეულის ასპირაცია უფრო ხშირია ადრეული ასაკის ვაჟებში, ვიდრე გოგონებში და განსაკუთრებით მაღალი სიხშირით გვხვდება <4> წლამდე ბავშვთა ასაკში. ლიტერატურაში არსებული მონაცემებით, ქრონიკული ხველის დროს უცხო სხეულზე ეჭვის არარსებობის

შემთხვევაში უცხო სხეულის ბრონქოსკოპიით დიაგნოსცირების სისტირე მცირეა. თუმცა Godfrey et all ახსენებს წარმატებული ბრონქოსკოპიების შესახებ, როდესაც უცხო სხეულის არსებობა ნათლად არ იყო გააზრებული.

ფსიქოგენური ხველა

ფსიქოგენური ხველა ბავშვთა ასაკში ხშირი არაა. მან შეიძლება განაპირობოს “ყიყინის” ან “სიგნალის” ხმიანობის მსგავსი ხველა, რომელიც შეიძლება მოთხოვნის მიხედვით განხორციელდეს. დიაგნოზი უნდა დაისვას სხვა დაავადებების, განსაკუთრებით ტურეტის სინდრომის გამორიცხვის გზით, რომელიც ბავშვთა ასაკში შეიძლება მხოლოდ ხველის სახით გამოვლინდეს.

ქრონიკული ხველის სხვა ტესტები

ხველის გამოწვევა

ხველის გამოწვევა ტუსიგენური აგენტით ხველის რეფლექსის სენსორული (“ხველის ზღურბლი”) და მოტორული კომპონენტების მატებას იწვევს. ხველის გამოწვევამ შესაძლოა უზრუნველყოს მძიმე ხველა და შეფასდეს მძლავრ რეფლექსად ნეკროლოგიური დარღვევის მქონე პაციენტებში, თუმცა მომატებული ხველის რეფლექსის არსებობა არ არის დაავადების სპეციფიური ნიშანი.

ნახველის ანალიზი

იმ პაციენტების ნახველში, რომელთაც აღენიშნებათ ასთმა, CVA და EB აღმოჩენილია ეოზინოფილებისა და მეტაქრომატული უჯრედების მომატებული რაოდენობა. სასუნთქი გზების ეოზინოფილური ანთების დადგენა შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს ქრონიკული ხველის მიზეზის დადგენის და მკურნალობის თვალსაზრისით.

მართვის სტრატეგია

ხველის მართვის თანამედროვე სტრატეგია განიცდის ე.წ. ფასი-ეფექტურობის ანალიზს. საკითხისადმი მიღებომა: “გამოიკვლიერები უმდეგ უმკურნალე” ძალიან ძვირი იყო, თუმცა სასიათდებოდა მკურნალობის უმცირესი პერიოდით. საპირისპირო მიღებომა - მკურნალობა ეტაპობრივად, დაწყებული რინიტით, უფრო იაფია, მაგრამ მკურნალობის პერიოდი სანგრძლივია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ოპტიმალურია კვლევის ფასისა და მკურნალობის სანგრძლივობის ოპტიმალური ბალანსირება. ასე მაგალითად, პაციენტებში ასთმისა და პოსტნაზალური წვეთის გარეშე, ემპირიული ორგვირიანი მკურნალობა პროტონული ტუმბოს ინჰიბიტორების

მაღალი დოზით უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე მანომეტრია და pH-ტესტირება. ლაბორატორიული კვლევის და ემპირიული მკურნალობის კომბინირება ხელს უწყობს ქრონიკული ხველის მართვის საუკეთესო სტრატეგიის შემუშავებას. გაიდლაინში განხილულია ორი მიმართულება: I. მკურნალობის ემპირიული მეთოდის გამოყენება; II. რეკომენდებული გამოკვლევების ჩატარება. ოუმცა ეს სტრატეგიები პარალელურად უნდა იქნეს განხილული.

ქრონიკული ხველის მკურნალობის ეფექტური საშუალება ჯერ-ჯერობით არ არსებობს. ხველის რამოდენიმე ახალი მექანიზმის იდენტიფიცირებამ შესაძლოა უზრუნველყოს ისეთი მედიკამენტების განსაზღვრა, რომლებიც შეამცირებს გახანგრძლივებული ხველის გამომწვევი სენსორული ბოჭკოების მომატებულ მგრძნობელობას. ბევრი პოტენციური მედიკამენტი ეფექტურია ცხოველებში გამოწვეული ხველის ინკიბირებაში და უპავ ტესტირებულია ადამიანებში. ახალი მედიკამენტები განსხვავდებიან ქრონიკული ხველის გამომწვევი ძირითადი მიზეზების ინკიბირების მიხედვით. ესენია ასთმის ან CVA-ს დროს არსებული ხველის სამკურნალო ანტიანთებადი მედიკამენტები, GOR-ის სამკურნალო პროტონული ტუმბოს ახალი ინკიბიტორები (პანტოპრაზოლი), ნაერთები, რომელიც აინკიბირებენ სენსორული ნერვის აქტივობას.

დასკვნა

წვენმა შეხედულებებმა ქრონიკული ხველის დიაგნოსტირებასა და მკურნალობაზე უკანასკნელი 20 წლის მანძილზე რადიკალური ცვლილებები განიცადა. გამოცდილება აჩვენებს, რომ ქრონიკული ხველის უდიდესი ნაწილი ემორჩილება მკურნალობას. გამოყოფენ იმ სამი ძირითადი დაავადების თავისებურებებს, რომლებიც წარმოადგენენ ქრონიკული ხველის ძირითად მიზეზს. ესენია: ასთმა, გასტრო-ეზოფაგური რეფლუქსი და რინიტი. ხველის სიხშირის შემცირება ჩატარებული მკურნალობის ფონზე ადასტურებს რეფლუქსის პლასტიკურობას. ხველის მაკონტროლებელი ფაქტორების გაგება ფუნდამენტური საკითხია და განსაზღვრავს მკურნალობის ეფექტურობას. ხველა წარმოადგენს სასუნთქი გზების სასიცოცხლო მნიშვნელობის დამცავ რეფლუქსს. მკურნალობის ძირითად მიზანს უნდა წარმოადგენდეს ხველის ნორმალური რეფლუქსის აღდგენა. ხველის რეცეპტორების მოლეკულური და

ფიზიოლოგიური ორგანიზაციის შესახებ ცოდნის გადრმავება საშუალებას მოგვცემს ახლო მომავალში მივაღწიოთ დასახულ მიზანს.

გაიდლაინის მიღების წყარო. წინამდებარე გაიდლაინის ძირითადი წყაროა კვროპის რესპირაციული ასოციაციის გაიდლაინი *The diagnosis and management of chronic cough (Eur Respir J 2004)*. გარდა ამისა, გათვალისწინებულია სხვადასხვა გაიდლაინები და სამეცნიერო პუბლიკაციები (იხ. ლიტერატურა).

ლიტერატურა

1. McGarvey LP, Heaney LG, Lawson JT, et al. Evaluation and outcome of patients with chronic non-productive cough using a comprehensive diagnostic protocol. Thorax 1998; 53:738–743.
2. Palombini BC, Villanova CA, Araujo E, et al. A pathogenic triad in chronic cough: asthma, postnasal drip syndrome, and gastroesophageal reflux disease. Chest 1999; 116: 279–284.
3. Brightling CE, Ward R, Goh KL, Wardlaw AJ, Pavord ID. Eosinophilic bronchitis is an important cause of chronic cough. Am J Respir Crit Care Med 1999; 160: 406–410.
4. Simpson G. Investigation and management of persistent dry cough. Thorax 1999; 54: 469–470.
5. McGarvey LPA, Heaney LG, MacMahon J. A retrospective survey of diagnosis and management of patients presenting with chronic cough to a general chest clinic. Int J Clin Pract 1998; 52: 158–161.
6. Lin L, Poh KL, Lim TK. Empirical treatment of chronic cough: a cost-effectiveness analysis. Proc AMIA Symp: 2001:383–387.
7. Munyard P, Bush A. How much coughing is normal? Arch Dis Child 1996; 74: 531–534.
33. Shann F. How often do children cough? Lancet 1996; 348: 699–700.
8. Luyt DK, Burton PR, Simpson H. Epidemiological study of wheeze, doctor diagnosed asthma, and cough in preschool children in Leicestershire. Br Med J 1993; 306: 1386–1390.
9. Brooke AM, Lambert PC, Burton PR, Clarke C, Luyt DK, Simpson H. Recurrent cough: natural history and significance in infancy and early childhood. Pediatr Pulmonol 1998; 26: 256–261.
10. Swanson KL, Edell ES. Tracheobronchial foreign bodies. Chest Surg Clin N Am 2001; 11: 861–872.
11. Pratter MR, Bartter T, Akers S, Dubois J. An algorithmic approach to chronic cough. Ann Intern Med 1993; 119: 977–983.

12. Vela M, Camacho-Lobato L, Hatlebakk J, Katz PO, Castell DO. Effect of omeprazole (PPI) on ratio of acid to nonacid gastroesophageal reflux. Studies using simultaneous intraesophageal impedance and pH measurement. *Gastroenterology* 1999; 116: G0910.
13. Kiljander TO, Salomaa ER, Hietanen EK, Terho EO. Chronic cough and gastroesophageal reflux: a doubleblind placebo-controlled study with omeprazole. *Eur Respir J* 2000; 16: 633–638.
14. A.H. Morice and committee members. The diagnosis and management of chronic cough. *Eur Respir J* 2004; 24: 481–492
15. Hiew YH, Smith JA, Earis JE, Cheetham BMG, Woodcock AA. DSP algorithm for cough identification and counting. Proceedings of the International Conference of Acoustic, Speech and Signal Processing (ICASSP). Orlando, USA IV, 2002; pp. 3888–3891.
16. Piirila P, Sovijarvi AR. Differences in acoustic and dynamic characteristics of spontaneous cough in pulmonary diseases. *Chest* 1989; 96: 46–53.
17. Niimi A, Amitani R, Suzuki K, Tanaka E, Murayama T, Kuze F. Eosinophilic inflammation in cough variant asthma. *Eur Respir J* 1998; 11: 1064–1069.
18. Malagelada JR. Review article: supra-oesophageal manifestations of gastro-oesophageal reflux disease. *Aliment Pharmacol Ther* 2004; 19 (Suppl. 1): 43–48.
19. Scholten T, Gatz G. Once-daily pantoprazole 40 mg and esomeprazole 40 mg have equivalent overall efficacy in relieving GERD-related symptoms *Aliment. Pharmacol Ther* 2003; 18: 587–594.
20. Katz PO. Gastroesophageal Reflux Disease-State of the Art. *Reviews in gastroenterological disorders*, 2001; 128:3

ქრონიკული ხველის პროფოკოლი

დეფინიცია. ქრონიკულად მიჩნეულია ხველა, რომელიც გრძელდება რვა კვირა და მეტი პერიოდი, პაციენტთა უმრავლესობისათვის წარმოადგენს ერთადერთ და, ხშირ შემთხვევაში, ორგანიზმის დამასუსტებელ სიმპტომს. კლინიცისტების მიერ განიხილება, როგორც დაუმორჩილებელი და ძნელად სამართავი პრობლემა. ჭეშმარიტი იდიოპათიური ხველა იშვიათია და ძირითადად შეცდომით დიაგნოსტიკურდება.

ბავშვებში ქრონიკულად მიიჩნევა ხველა, რომელიც აღინიშნება ყოველდღიურად 4 კვირაზე უფრო მეტი პერიოდის განმავლობაში.

ხველის უხშირესი მიზეზები ასაკის მიხედვით

0-დან 18 თვემდე: თანდაყოლილი პათოლოგია, ხველის ასთმის ვარიანტი (ასთმური ხველა), არტერიის თანდაყოლილი ანომალია.

18 თვის ასაკიდან 6 წლამდე: ხველის ასთმის ვარიანტი და სინუსიტი.

6-დან 18-წლამდე: ხველის ასთმის ვარიანტი და ფსიქოგენური ხველა.

საჯციფრური ხველის არსებობას “მიმანიშნებლები”

- აუსკულტაციური მონაცემები;
- ხველა, რომელიც ხასიათდება სუნთქვის უკმარისობით-მოხრჩობის შეგრძნებით;
- ხველა დაბადებიდან;
- კარდიალური პათოლოგია;
- გულმკერდის ტკივილი;
- გულმკერდის კედლის დეფორმაცია;
- ქრონიკული დისპნოე;
- პროდუქტიული ხველა დღის მანძილზე;
- განვითარების დარღვევა;
- ხველა სისხლიანი ნახველით;
- იმუნური დეფიციტი;
- ნერვული განვითარების დარღვევა;
- თანმხლები პნევმონია.

პაციენტთა უმრავლესობაში ქრონიკული ხველის მიზეზს წარმოადგენს დარღვევათა რამოდენიმე სახე-პათოლოგიურ მდგომარეობათა კომბინაცია და მხოლოდ შემთხვევათა ნაწილში მის გამომწვევად ერთი ნოზოლოგია გვევლინება. კერძოდ, ხველის მიზეზი პაციენტთა 82%-ში არის 1 ნოზოლოგია,

ხოლო 18%-ში ქრონიკული ხველის გამომწვევად მიიჩნევა მულტიფაქტორული პათოლოგია. სწორად მართული მკურნალობის პირობებში შემთხვევათა 97%-ში ქრონიკული ხველა სრულად იხსნება.

პაციენტთა 14-23%-ში ქრონიკული ხველა ექიმთან პირველი ვიზიტის მიზეზს წარმოადგენს.

ქრონიკული ხველის ძირითადი და დამატებითი მიზეზები

ძირითადი მიზეზები

- სიგარეტის წევა და სხვა ეკოლოგიური გადიზიანებლები;
- პოსტნაზალური რინიტი, სინუსიტი, ასთმა;
- გასტრო-ეზოფაგური რეფლუქსი
- ქრონიკული ბრონქიტი;
- სასუნთქი გზების ტრანზიტორული პიპერმგრძნობელობა;
- მედიკამენტებით პირობადებული ქრონიკული ხველა (ბეტა-ბლოკატორები, ACE ინჰიბიტორები).

დამატებითი მიზეზები

- გულის დაავადებები;
- კიბო (ფილტვის, საყლაპავის);
- ფილტვის ინტერსტიციული დაავადება (ემფიზემა, სარკოიდოზი);
- ტუბერკულოზი და ფილტვის სხვა ქრონიკული ინფექცია, კისტოფიბროზი;
- ასპირაცია;
- ინტრათორაკალური წარმონაქმნების ზეწოლა (ანევრიზმა, თიმომეგალია, შუასაყრის ლიმფური ჯირკვლების გადიდება).

დიაგნოსტიკის და მკურნალობის ალგორითმი

I საფეხური

ყველა პაციენტს ქრონიკული ხველით, რომელმაც მიმართა ექიმს პირველი კვირის განმავლობაში, უტარდება პოსტნაზალური რინიტის ემპირიული მკურნალობა „ანტიპისტამინ-დეკონგესტანტები“-ს კომბინაციით. თუ არსებული მკურნალობის ფონზე ხველა შემცირდა, მკურნალობა გრძელდება მის სრულ აღმოფხვრამდე. იმ პაციენტებში, რომლებიც არ

ემორჩილება დაწყებულ მკურნალობას, დამატებით გამოიყენება ნაზალური სტეროიდები 2 კვირის მანძილზე. თუ ხელა გრძელდება და არ მიიღწევა დადებითი შედეგი, პაციენტს უნდა ჩაუტარდეს თავის ქალის წიაღების კალევა (რენტგენოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია) ქრონიკული სინუსიტის დიაგნოსტიკურების მიზნით. ქრონიკული სინუსიტის იდენტიფიცირების შემთხვევაში პაციენტს უტარდება ემპირიული მკურნალობა კო-ამოქსიკლავი, II ან III თაობის ორალური ცეფალოსკორინებით, პაციენტი საჭიროებს ყელ-ყურ-ცხვირის სპეციალისტის კონსულტაციას.

II საფეხური

I საფეხურზე მიღებული ზომების მიუხედავად, თუ პაციენტს უგრძელდება ხელა, საჭიროა ასთმის გამორიცხვა. არამწეველ პაციენტების 24%-ს ქრონიკული ხელის მიზეზს წარმოადგენს ასთმა, ასთმის ზუსტი დიაგნოსტირებისათვის უნდა შეფასდეს ექსპირაციული ჰაერის ნაკადის პიკური მოცულობა სპირომეტრის საშუალებით. ასთმით ავადმყოფებში აღინიშნება ექსპირაციული ნაკადის პიკური მოცულობის შემცირება და შემდგომი ბრონქოდილატაციური თერაპიის ფონზე მისი მოცულობის ზრდა.

ბრონქული ასთმის დადგენის შემთხვევაში პაციენტები გაფრთხილებულები უნდა იქნენ ხანგრძლივი პრევენციული მკურნალობის აუცილებლობაზე.

III საფეხური

თუ პირველ 2 საფეხურზე ჩატარებული კვლევების მიუხედავად ვერ მოხერხდა დიაგნოსტირება, ამ ეტაპზე აუცილებელია მოხდეს თანდაყოლილი ანომალიების გამოვლენა და შესაბამისი მკურნალობა.

IV საფეხური

თუ ამ საფეხურისათვის ვერ მოხერხდა ქრონიკული ხელის გამომწევევი მიზეზის იდენტიფიკაცია უნდა ჩატარდეს სიმპტომურად: გასტროაციდური დათრგუნვის ტესტი ანტირეფლუქსურ მკურნალობასთან ერთად.


პაციენტები გასტრო-ეზოფაგური რეფლუქსით ყოველთვის გრძნობდნენ წვას და დისკომფორტს გულმკერდის არეში. ხშირად, ამ პათოლოგიით პაციენტებში ერთადერთ სიმპტომს წარმოადგენს ქრონიკული ხელა. პაციენტთა უმრავლესობაში ანტიაციდური მკურნალობის ფონზე ხველის

არშემცირების შემთხვევაში ირიცხება რეფლუქსის არსებობა. პროტონული ტუმბოს ახალი თაობის ინკიბიტორების (მაგ.: პანტოპრაზოლის 40 მგ/დღეში) გამოყენება იწვევს რეფლუქსის სრულ დათრგუნვას. ეს ტესტი მგრძნობიარეა პაციენტთა 83-90% შემთხვევაში. არასასურველი შედეგის მიღების შემთხვევაში პროტონული - ტუმბოს ინკიბიტორებით აგრესიული თერაპია უნდა გაგრძელდეს არანაკლებ 8 კვირა.

V საფეხური

პაციენტებს, რომლებიც ჯერ კიდევ უგრძელდებათ ხელა, უნდა ჩაუტარდეს ბრონქოსკოპული კოლეგა. თუ აღნიშნულის ფონზე ვერ მოხდება ქრონიკული ხელის მიზეზის დიაგნოსტირება, უნდა ჩატარდეს ანგიაზისტამინური თერაპიის განმეორებითი კურსი β აგონოსტებთან და სტეროიდებთან ერთად.

დიაგნოსტიკური ალგორიტმი



ქრონიკული ხველის დიაგნოსტიკური ალგორიტმი

